

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი
ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021 – 2027)

თსას-ის მისია

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია არის პირველი საღვთისმეტყველო სკოლა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, დაარსებული საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (2002 წელს) დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა“ და კანონიკურ სამართალზე დაყრდნობით, თსას ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების აკადემიურ პროგრამებს.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია არის სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრე ძველი ქართული სასულიერო საგანმანათლებლო კერებისა და სკოლებისა, ქრისტიანული ტრადიციებისა და სამეცნიერო ცენტრებისა. იგი იღვწის იმ პიროვნებათა განათლებისთვის, რომლებიც ეკურთხებიან სასულიერო პირად ან/და ემზადებიან პედაგოგიური თუ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, ასევე, ეკლესიის საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა აღდგენა-განახლების მიზნით ხატმწერ - რესტავრატორთა და ხუროთმოძღვართა კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

თსას-ის მიზანდასახულობაა პედაგოგიური, სამეცნიერო და კვლევითი მუშაობის წარმართვა საღვთისმეტყველო პროფილის მეცნიერებებში, ქრისტიანულ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, საეკლესიო არქიტექტურასა და ქრისტიანულ ხელოვნებაში, ხატწერის, დაზგურის და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის განხრით.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, თავისი მიზნისა და მოწოდების ფარგლებში, ხელს უწყობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობას, რაც ემსახურება საზოგადოებაში მართლმადიდებლური სარწმუნოების, ფასეულობებისა და ეკლესიური ცნობიერების განმტკიცებას.

თსას-ის ხედვა

თსას, გამართული და უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან თავსებადი აკადემიური პროგრამებითა და საჭირო აკადემიური/სამეცნიერო/მატერიალ-ტექნიკური რესურსის გამოყენებით, ღვთისმეტყველების დარგში მოამზადებს მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო და პედაგოგიურ კადრებს, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის - მღვდელმსახურებს.

თსას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში, განუხრელად უნდა ზრუნავდეს სამეცნიერო პოტენციალის გამოვლენა-გაძლიერებისათვის ღვთისმეტყველების, ლიტურგიკის, რელიგიათმცოდნეობის, ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, რელიგიისა და ეკლესიის ისტორიის, ქრისტიანული ფსიქოლოგიის, ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის, საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის დარგებში.

კვლევითი საქმიანობის გაძლიერებითა და საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების მეშვეობით, თსას აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული ქვეყანაში ქრისტიანული ღირებულებების გავრცელებისა და განმტკიცების პროცესში.

თსას-ის ხედვაა, საერთაშორისო მასშტაბით იყოს მოწინავე უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების კერა და ჰქონდეს შეუქცევადად მზარდი რეპუტაცია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ პარტნიორებსა და მთელ მართლმადიდებელ ეკლესიაში.

თსას-ის სამოქმედო პრინციპები:

1. *პასუხისმგებლობა* სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, რაც აისახება თსას-ის თითოეული წევრის საქმიანობასა და სასწავლებელში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესზე, მართვის ყველა დონეზე. იმავდროულად, პასუხისმგებლობის შეგნება განპირობებულია კვალიფიციური ხელმძღვანელობის სისტემითა და მაღალი ხარისხის სწავლა/სწავლების დონით;
2. *სასწავლებლის აკადემიურ პერსონალსა და საზოგადოებაზე ორიენტირება*

თსას ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების განვითარებასა და კეთილდღეობაზე, მხარს უჭერს მათი აქტიურობის ხარისხის ამაღლებას, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გადანაწილებას საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და განხორციელების თვალსაზრისით;

3. ხარისხზე ორიენტირება

თსას-თვის პრიორიტეტულია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლებისა და კვლევების, ისე თსას-ის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში;

4. აკადემიური თავისუფლება

თსას ზრუნავს თავისი აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და სტუდენტების სამეცნიერო-აკადემიური ინტერესების / პროფილის თავისუფლად და შეუზღუდავად ფორმირებისა და განვითარების, მეცნიერული სიახლეების ხელმისაწვდომობისა და განხილვის საჯაროობისათვის, ეძიებს საშუალებებსა და შესაძლებლობებს ახალი მეცნიერული მიღწევების გავრცელებისა და დანერგვისათვის;

5. აკადემიური კულტურა

თსას-ში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება ქრისტიანულ ღირებულებებს, აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს;

6. გუნდურობა

თსას ხელმძღვანელობს თანამშრომლებს შორის თანასწორობის, კოლეგიალობის, გუნდური მუშაობის, ჰარმონიული და დინამიკური ურთიერთობების პრინციპებით;

7. განვითარებაზე ორიენტირებულობა

ღვთისმეტყველების დარგში სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები ქმნის საფუძველს თსას-ში სხვადასხვა აქტივობის, მათ შორის, პროგრამების განვითარებისა და ცოდნის გავრცელების მრავალფეროვანი ფორმების საზოგადოებისათვის შესათავაზებლად (ფორმალური და არაფორმალური განათლება, დისტანციური და ელექტრონული სწავლება, უწყვეტი განათლება და ა.შ.). ქრისტიანული მოძღვრებისა და საეკლესიო ტრადიციების ერთგულებითა და პატივისცემით, საკუთარი საქმიანობის სრულყოფისაკენ სწრაფვით თსას ხელს უწყობს საზოგადოებაში მაღალი სულიერების, ქრისტიანული ეთიკის პრინციპებისა და მართლმადიდებლური სწავლების უკეთ შემეცნებასა და განმტკიცებას.

არსებული ვითარება და გამოწვევები:

1. გამოწვევები;
2. გარემოს ანალიზი;
3. SWOT ანალიზი:
 - ძლიერი მხარეები;
 - გასაუმჯობესებელი მხარეები;
 - შესაძლებლობები;
 - რისკები.

1. გამოწვევები

გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესების გაღრმავებასთან ერთად, უმაღლესი სასწავლებლების წინაშე ახალი გამოწვევები დგება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ქრისტიანული ეთიკისა და ფასეულობების მქონე პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ გლობალური გამოწვევების პირობებში სრულყოფილად განახორციელონ მათდამი რწმუნებული მსახურება/საქმიანობა.

ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამებისა და ინსტიტუციური მართვის დახვეწა და გაუმჯობესება, ამ თვალთახედვით უცხოეთის სხვადასხვა, პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობაში ჩართვის გზით.

სამეცნიერო ურთიერთობებისა და საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის განვითარება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების კუთხით, საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის შესაძლებლობას განვიხილავთ, როგორც მუდმივ რესურსულ შენაკადს თსას-ის სასწავლო, კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა და ელექტრონული სწავლების განვითარებამ საგანმანათლებლო მომსახურების გლობალიზაციის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

ამჟამად შესამჩნევია უმაღლესი განათლების მსოფლიო სისტემის ისტორიული განვითარების ისეთი მომენტი, როცა უმაღლესი სასწავლებლების თანამონაწილეობა ერთიან ევროპულ სივრცეში ურთიერთთანამშრომლობის მეტ შესაძლებლობას იძლევა. მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესთან გაუცხოება გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: კვალიფიკაციის აღიარება, ხარისხის შეფასების საერთაშორისო ფორმების განვითარება და საერთაშორისო აკრედიტაცია. არსებულ პანდემიურ პირობებში ელექტრონული სწავლების დაჩქარებულად, ფართო მასშტაბით დანერგვამ განსხვავებული რეალობისა და გამოწვევების წინაშე დააყენა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები. აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასწავლებლების მატერიალურ და ტექნიკურ მზაობას, სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტური მექანიზმების ამუშავებასა და სწავლების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას.

2. გარემოს ანალიზი

შევისწავლეთ რა თსას-ის სტრუქტურული რგოლების/ერთეულების არსებული მდგომარეობა და პოტენციალი, ჩატარებული მონიტორინგული კვლევისა და ანალიზის, აგრეთვე, ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ადმინისტრირების პრინციპების გაზიარების საფუძველზე, შევიშუშავეთ საგანმანათლებლო გარემოს კონცეფცია/ხედვა.

ბოლო წლის განმავლობაში თსას-მა მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და უწყვეტობის უზრუნველყოფის კუთხით. აგრეთვე გააღრმავა პარტნიორული ურთიერთობები ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებსა და კვლევით ინსტიტუტებთან. თსას ასევე ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებასთან.

რესურსები გამოიყო ისეთი საქმიანობის გაძლიერებისათვის, რომელსაც დიდი გავლენა აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა აქტუალური პროექტის განხორციელების პროცესზე. ასევე, ყურადღება გამახვილდა დამსაქმებლებთან მჭიდრო ურთიერთობაზე, მათი საჭიროებისა და შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით.

აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით, თსას ორგანიზებას უწევს მნიშვნელოვან საინფორმაციო კამპანიებს და თანამშრომლობს რიგ ინსტიტუციებთან, მათ შორის, მედია საშუალებებთან, ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა სასწავლო დაწესებულებებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის თსას აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და სახელმწიფოს წინაშე, წარმატებით ახერხებს საკუთარი მოწოდების რეალიზებას და მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე.

3. არსებული ვითარების ანალიზი (SWOT ანალიზი)

თსას-ში არსებული ვითარების შესასწავლად კვლევები ჩატარდა 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით. აღნიშნული პერიოდი დაემთხვა რთულ პანდემიურ ვითარებას, შესაბამისად, ყველა კვლევა შესრულდა დისტანციურად, შესატყვისი ელექტრონული რესურსების/პლატფორმების გამოყენებით.

SWOT ანალიზის კვალიფიციურად წარმართვისათვის შევქმენით ექვს-ექვსი წევრისგან შედგენილი ოთხი სამიზნე ჯგუფი (1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი; 2. სტუდენტები; 3. თსას-ის ადმინისტრაცია; 4. ფაკულტეტების ხელმძღვანელები). ოთხივე ჯგუფთან ჩატარდა კომპლექსური სამუშაო, მათ შორის, საინფორმაციო, მოკვლევითი შეხვედრები და სიღრმისეული ინტერვიუები. ანალიზის პროცესში, ინსტიტუციური იერსახისა და ავტორიტეტის ობიექტურად შეფასების მიზნით, მოვიწვიეთ გარე აკადემიური და საექსპერტო საზოგადოება. მიღებული ინფორმაციის დამუშავებითა და შეჯამებით ჩამოვყალიბეთ კვლევითი დასკვნები.

ძლიერი მხარები:

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, როგორც უპირველესი უმაღლესი საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, აცნობიერებს რა თავის პასუხისმგებლობასა და მოვალეობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე, ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობს და ფუნქციონირებს მაცხოვრებელი რწმენისა და ცოდნის განუყოფელი პრინციპების დაცვის, ასევე უწმინდესი საეკლესიო მოძღვრების-ეკლესიის უცვალებელი რჯულის - მეცნიერულად შესწავლისა და მისი უბიწოდ დაცვის მიზნით, აკადემიურ სივრცეში დამკვიდრებული ტრადიციებითა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამებით.

მისი ძლიერი მხარეებია:

- მაღალი ავტორიტეტი;
- უფასო სწავლება სამივე საფეხურის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამებზე და სხვა სოციალური მომსახურება, მათ შორის, სამედიცინო, საერთო საცხოვრებელი და კვებითი.
- საღვთისმეტყველო და სხვა სამეცნიერო დარგებში მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი სამსაფეხურიანი საღვთისმეტყველო, მართლმადიდებლური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებელი;
- მუდმივ განვითარებაზე ორიენტირება, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

პრობლემათა ერთობლიობიდან, მათივე ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს შემდეგი გასაუმჯობესებელი მხარეები:

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება - თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიებისა და ლაბორატორიების, საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა;
- საღვთისმეტყველო მიმართულებით არსებული კვლევების შედეგების დანერგვა სასწავლო რესურსებსა და საგანმანათლებლო პროცესში;
- ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და სასწავლო რესურსებთან, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- გარე ფონდებისა და მექანიზმების მეშვეობით ფინანსების მოზიდვა;
- მაღალი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტთა დაინტერესება;
- სტუდენტური სერვისების, მათ შორის, კარიერული წინსვლის ხელშეწყობა;
- სასწავლო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება.

შესაძლებლობები:

თსას-ის ძლიერი მხარეების შემდგომი სრულყოფისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებისათვის მიზანშეწონილია ამოქმედდეს შემდეგი შესაძლებლობები:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით, დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მათ შორის მათი ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურულ ბლოკ „სწავლის შედეგების“ ჩამოყალიბების პროცესში;
- სამაგისტრო დონის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ქმედითი თანამონაწილეობა და ურთიერთობების გაღრმავება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობის გაძლიერება;
- ინსტიტუციური თანამშრომლობის გააქტიურება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სასწავლო ორგანიზაციებთან;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ეფექტურობისათვის ქმედითი მხარდაჭერის აღმოჩენა: სამეცნიერო/საველე - პრაქტიკული/საინფორმაციო-კვლევითი მივლინებები; საარქივო მასალების/დოკუმენტების/ხელნაწერების ხელმისწვდომობის მედიაცია; კონფერენცია-სიმპოზიუმებზე წარგზავნის მხარდაჭერა; სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციების ფინანსურ-საგამომცემლო ხელშეწყობა; უცხო ენებში კომპეტენციის ამაღლების მხარდაჭერა;
- აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დანერგვა და ეფექტურობის უზრუნველყოფა.

რისკები :

- არსებული პანდემიური ვითარების გახანგრძლივება;
- ქვეყანაში ფინანსურ-ეკონომიკური ან სხვა სახის კრიზისის არსებობა/გაღრმავება და სახელმწიფო საბიუჯეტო სუბსიდიის შემცირება;
- თსას-ის მიერ განხორციელებად პროგრამებზე მოთხოვნის შემცირება;

- ა) ელექტრონული და დისტანციური სწავლების განვითარების ფონზე საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრება;
- ბ) რეპუტაციის შემლახავი დეზინფორმაციის გავრცელება.

მიზნები, ამოცანები, სამოქმედო გეგმა, ვადები და მოსალოდნელი შედეგები

მიზანი I	<p>სასულიერო პირად კურთხევის მიზნით ან საღვთისმეტყველო პროფილით სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;</p> <p>საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა აღდგენა-განახლების მიზნით ხატმწერ - რესტავრატორთა და ხუროთმოძღვართა კვალიფიციური კადრების მომზადება.</p>								
ამოცანა	<ul style="list-style-type: none"> ✓ სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება დასახული მიზნის მიღწევისთვის; ✓ ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება დასახული მიზნის მიღწევისთვის; ✓ საბიბლიოთეკო რესურსების მიზნობრივი განახლება. 								
მიზნის მიღწევის გზები									
	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027		
საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება დახვეწისა და განვითარების მიზნით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დახვეწა / განვითარება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		

სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის შესწავლა და განვითარება	✓	✓						
აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილის გაზრდა მოწვეულ პერსონალთან შედარებით					✓	✓		
ელექტრონული სწავლების სისტემის ეფექტურად გამოყენება	✓	✓	✓					
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და მხარდაჭერა		✓	✓	✓	✓			
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პრაქტიკის დანერგვა	✓	✓	✓					
პლაგიატის გამოვლენისა და აკადემიური არამართლზომიერი ქმედების შემთხვევათა მართვის სისტემის დანერგვა და განვითარება	✓	✓	✓					
აუდიტორიების განახლება და აღჭურვა	✓	✓	✓	✓				
სსმ პირების საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის განვითარება (მოწესრიგება ნაწილობრივ და სრულად)			✓					
სტუდენტური საერთო საცხოვრებლის (პანსიონის) საყოფაცხოვრებო იერისა და ინვენტარის განახლება	✓	✓						
საბიბლიოთეკო და სტუდენტთა დამოუკიდებლად მუშაობისათვის შიდა სივრცის მოწყობა და შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვა.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან და სამეცნიერო ბაზებთან წვდომის უზრუნველყოფა.		✓	✓	✓			
მოსალოდნელი შედეგები	<p>საზოგადოებაში ეკლესიური ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა მაღალი სულიერებისა და ქრისტიანული ღირებულებების განმტკიცების გზით;</p> <p>საგანმანათლებლო გარემოს, მათ შორის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის წარმართვისას საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება სასწავლებლის მოწოდებისა და მიზნების შესატყვისად; შესაბამისობის მიღწევა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან/სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და მისი დაკავშირება მაღალი საგანმანათლებლო ხარისხის მიღწევის თანამედროვე სტანდარტებთან; ინდივიდუალური პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება; სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის დახვეწა; სასწავლო და კვლევით რესურსებზე ხელმისაწვდომობა; სწავლების მაღალი ხარისხის მისაღწევად, ელექტრონული სწავლების სისტემის სრულყოფილად მისადაგება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნებსადმი; სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერება; პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა; უახლესი კვლევების შედეგების დანერგვა სწავლების პროცესში; კვლევით საქმიანობაში შესაბამისი პროფილის</p>						

	<p>საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების თანამონაწილეობა; კვლევით და სასწავლო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების განუხრელად დაცვა, როგორც აუცილებელი პირობა ღვთისმეტყველების დარგში მეცნიერული ცოდნის ამაღლებისა და კვლევების სანდოობისათვის.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გაუმჯობესება აკადემიური შედეგების შემდგომი ამაღლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეტი მდგრადობის მიღწევის მიზნით.</p> <p>ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განახლება (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა);</p> <p>სსმ პირების საჭიროებების შესაბამისად, სასწავლო და გარემო პირობების ადაპტაცია;</p>
<p>მიზანი II</p>	<p>სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება</p>
<p>ამოცანა</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ ღვთისმეტყველების დარგში სამეცნიერო ცოდნის შეძენა; ✓ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესრულება; ✓ სტუდენტური საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა; ✓ სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო მასშტაბით წარმართვა.

მიზნის მიღწევის გზები							
	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
Erasmus+ ფარგლებში სტუდენტების/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ხელშეწყობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
Erasmus+ ფარგლებში ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება			✓	✓	✓		
საზღვარგარეთის საღვთისმეტყველო უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაფართოება ერთობლივი კვლევების განხორციელების მიზნით	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
პერსონალის (აკადემიური / ადმინისტრაციული) მომზადება-გადამზადება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და რეკომენდაციების საკითხებზე (ინსტიტუციური და პროგრამული).	✓	✓	✓				
მოსალოდნელი შედეგები	<p>საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა-ივარაუდება როგორც არსებული სისტემის შემდგომი დახვეწა, ასევე სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ეფექტური შეფასების სისტემების განვითარება;</p> <p>სტუდენტების/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის ადმინისტრაციული მხარდაჭერა: Erasmus+ -ის მოთხოვნების შესაბამისად, მათთვის ევროპული ენების გაძლიერებული სწავლებისა და საპროექტო განაცხადების შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის შეთავაზება;</p> <p>პერსონალის მხარდაჭერა - გადამზადება</p>						

	<p>უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მაღალი საგანმანათლებლო ხარისხის დამკვიდრებასა და სწავლებისა და კვლევითი დონის გაუმჯობესებას; პერსონალის კომპეტენციების ამაღლების გზით, საერთაშორისო მობილობისა და ერთობლივი კვლევებისათვის შესაძლებისადამიანური რესურსის გამოყენება; საერთაშორისო პროგრამების თაობაზე საკონსულტაციო მომსახურების დანერგვა;</p> <p>ახალი პარტნიორების მოძიება და მათთან სასწავლო და კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობის გაზრდა, როგორც დაწესებულების საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებისა და სამომავლოდ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, კვლევითი თანამშრომლობის დასახვისა და განვითარების შესაძლებლობა; საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებისათვის შესაბამისი საინფორმაციო მომსახურებისა და ექსტრაკურსული (პროგრამის მიღმა) დამატებითი სწავლების ფარგლებში, უცხო ენებში მათი კომპეტენციის ამაღლების ხელშეწყობა.</p>
<p>მიზანი III</p>	<p>საზოგადოებაში ეკლესიური ცნობიერების მუდმივი ამაღლება და ქრისტიანული ღირებულებების დაცვის განმტკიცება</p>
<p>ამოცანა</p>	<p>✓ დაგროვილი ცოდნის გავრცელება სულიერი კულტურის, განათლებისა და საზოგადოებაში ქრისტიანული ცნობიერების ასამაღლებლად.</p>

მიზნის მიღწევის გზები							
	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
საღვთისმეტყველო კრებულებისა და პერიოდული გამოცემების მომზადება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
სოციალური, კულტურული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
საზოგადოებრივ სივრცეში ღონისძიებების, სიმპოზიუმების, კონფერენციების ორგანიზება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის პრეზენტაციებისა და საჯარო ლექციების ორგანიზება	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
გამოფენების მოწყობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
უწყვეტი სწავლების სისტემის ხელშეწყობა						✓	✓
მოსალოდნელი შედეგები	<p>საღვთისმეტყველო ცოდნის, ქრისტიანული ღირებულებების გავრცელება-განმტკიცების საქმეში თსას-ის წვლილის გაზრდა; საღვთისმეტყველო ხასიათის ტექსტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა და საზოგადოებისათვის მათი ხელმისაწვდომობა; ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლების უკეთ შემეცნების ხელშეწყობა; ქრისტიანული ხელოვნების ესთეტიკური პრინციპების/ხედვების შემეცნება საზოგადოების მიერ; უწყვეტი განვითარების სისტემის დანერგვა.</p>						